


ხევისურმ თქვა ნოღაეთშია თქვა ნოღაეთშია ნოღაეთშია

ხევისურმ თქვა ნოღაეთშია
 სიმაღლეთ, როგორც ლაღარი:
 — სადამდე უნდა დაგვცინონ,
 თვალში გვაყარონ ნაცარი?!
 მოდით და ჩვენც გავიცინოთ, —
 გასაცინები რაც არის:
 ნოღაეთს შემოსევია
 „ბრადიაგების“ ლაშქარი! —
 თუ სადმე ლოთი რუსია,
 უმეტესობა აქ არის! —
 პერესტროიკას უყელეს,
 ნოღაეთს ნახეს საფარი,
 ვითომ ცხვრის ფარებს მწყემსავენ,
 ხუთ-ექვსი ზაფხულ-ზამთარი
 (მაგათ შემყურე ცხვარ-თოხლი
 დაღუულია, გამხდარი!..)
 „კუხარკება დაც“ მოსულან,
 ქერა თმის ძუა-ფაფარით,
 გამართეს თავრობნებთანა
 „გულიანიე“ რაგვარი!..
 შინ მშვიერები აქ დაძლენ,
 როგორც აჯილღა, სალარი!..
 ჩრდილოეთს შემოღევია
 ძეხვი, კარაქი, შაქარი!..
 ლამისა, ლორის მაგივრად,
 მოხარშონ ლორის ჯაგარი!..
 არ მალვენ: — დიქტატურასა
 ელცინმა დასცა თავზარი.
 არ უთმობს იმპერატორიც,
 თიხის ფეხებზე შამდგარი,

კუდით აყენებს „კავშირსა“
 (ვინ სხვა ამდგარა მამკვდარი?!)
 თითს უქნევს საქართველოსა,
 როგორც ოსმალს ხვანთქარი,
 თავთა — ემაგის მუქარა! —
 ხან წყალი გასდის, ხან ქარი!..
 მშვიერებ თანამგზავს უშვებენ,
 ვარსკვლავებს უდგას დგანდგარი,
 კოსმოსში გადის ხუილით,
 აქ ხალხის ნამაგარი!..
 პატრონის დედა ვუტირე! —
 იმპერია გვაქვს მაგარი!..

ჩაიწერა შოთა არაბულმა
 (ყაზბეგი)





დავით აღმაშენებელმა როგორ შექმნა საბჭოთა კავშირი

გადი გაგვირეფერენ დუმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა წინა დღეებში ტელევიზიით ჩაგვიხუტა. ენა მოგვიჩლიქა: თავისუფლება რომ გინდათ, ჩემო ცუგრუმელებო? რაღას ელოდებით, თავისუფლების უღელში შეგაბამთ, ერთად იარეთ, ემანდ სადმე ფეხი არ წაიტეხოთ!

სამინელი სურათი დაგვიხატა: ცალ-ცალკე თუ ივლით, თქვენ ხომ დაიღუპებით, მსოფლიოც დაინგრევა, „ნეპრედსკაჟუემი“ რამე დაემართებაო!.. ისე გველაპარაკებოდა, თითქოს ცალ-ცალკე შევტოპეთ სოციალისტურ ქაობში და მანამდე სულ ბელიზელჩაიკიდებულნი, ცხვირმოუხვოცავი კუდრაქა ოქტომბრელები არ ვიყავით! ერთობამ დაგვლუბა და მაინც გვარწმუნებდა, ერთობა გვიშველიას!

პრეზიდენტს, კეშმარიტ კომუნისტს და ლენინელს, არ შერცხვია, როცა გვერდით ამოუდგა ივანე კალიტას, ივანე მრისხანეს, პეტრე პირველს, „მატუშკა“ ეკატერინეს, ნიკოლოზ „პალკინს“ თუ ნიკოლოზ მეორეს და განაცხადა — ჩვენი ერთიანი „დერჟავა“ ათასი წელი იქმნებოდაო. სამოცდაცამეტი კი არა, ათასიო!

აგაშენათ ღმერთმა, მიხაილ სერგეევიჩ! ძლივს არ აღიარეთ, რომ საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის იმპერია, რომელსაც, როგორც მოგვხსენებათ, „ევროპის უნდარში“ და „ხალხთა საპურობილე“ ერქვა!

ძალიან გთხოვთ, ეს განსაზღვრება მე არ დამაბრალოთ, იგი ლენინურია! თქვენ ხომ ლენინის ყველაფერი გჭერათ, მე უფლება არა მაქვს, ეს ერთი რამ მაინც დავიჭერო?

საბჭოთა „დერჟავის“ ათასწლიანმა ისტორიამ ერთ დიდ აღმოჩენამდე მიმიყვანა: თურმე, სხვებთან ერთად, ხალხთა ეს „ძმური ოჯახი“ დავით აღმაშენებელსაც შეუქმნია!

ამიტომ ჩვენი ისტორიკოსების მოვალეობაა, ახლებურად შეხედონ ამ დიდებული ქართველი კომუნისტისა და ინტერნაციონალისტის პარტიულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას!

დავით აღმაშენებელი იმთავითვე კომუნისტის მორალური კოდექსის ერთგული გახლდათ, რომლიდანაც გამომდინარეობს ქრისტიანული ცნობილი ათი მცნება.

მან მოინანია, რომ შეფეთმეფე ერქვა და არა სკკბ ტფილისის საოლქო კომიტეტის მდივანი, რაც გამოხატა თავის მოხსენებით ბარათში „გალობანი სინანული-სანი“.

ქართულ მეცნიერებაში აქამდე გაბატონებული იყო აზრი, თითქოს, მან თავისი საჭიროებებისათვის ჩამოიყვანა საქართველოში ყივჩაღთა ლაშქარი. სინამდვილეში დავით აღმაშენებელმა შეასრულა ინტერნაციონალური ვალი, საოლქო კომიტეტის მდივანს ვლადიმირ მონომახს

მოაშორა მოწინააღმდეგე, რომელიც მას საბჭოთა კავშირის შექმნაში ხელს უშლიდა!

არასწორად არის გაშუქებული თითქოს ნახევარმილიონიანი მუსულმანური კოალიციის ლაშქრის განადგურებაც დიდგორთან, თითქოს, დავითს საქართველოს გადაარჩენა უნდოდა მხოლოდ! ეს სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: იგი ზრუნავდა საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილის გადასარჩენად!

დავით აღმაშენებელმა დიდებული საქმე გააკეთა, რაც სათანადოდ არ არის დაფასებული საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მან იმიტომ კი არ მოსპო საქართველოში არაბთა ბატონობის კვალი, რომ ტფილისი გაეთავისუფლებინა. იგი ხომ ინტერნაციონალისტი იყო და მისთვის სულ ერთი გახლდათ, დედაქალაქში არაბი ამირა იქნებოდა თუ ქართველი მეფე, ამირა იმიტომ გადაეცა საქართველოდან, რომ ის სულელი ოპორტუნისტი ვერ ხვდებოდა, რა მისია დააკისრა ისტორიამ: ამირა ერაყში უნდა გადახვეწილიყო, რათა გამხდარიყო სადამ ჰუსეინის წინაპარი, რომელიც კრიკაში ჩაუდგებოდა საბჭოთა კავშირის კონკურენტს — ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს!

აი, რა დიდი საქმე გააკეთა დავით აღმაშენებელმა, როცა წინასწარ განსაზღვრა, სად გაიყიდებოდა ძლიერ-მოსილი საბჭოთა იარაღი!

რა თქმა უნდა, მარტო დავით აღმაშენებელს არ შეუქმნია საბჭოთა კავშირი, ამისათვის იღვწოდნენ, პირველ რიგში, მისი უფროსი ძმები — რუსი მთავრები და მეფეები, იმპერატორები და ბელადები, ახლა იღვწის პრეზიდენტი გორბაჩოვი, ამისათვის თავს იკლავდნენ ჩვენი დიადი, თვალუწვდენელი სამშობლოს ხანები და ემირები, გეტშანები და იმამები, ანუ სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, ყველანი ყოველთვის ნებაყოფლობით მიესწრაფოდნენ დედარუსეთთან შეერთებას, „ვოსსოვდინენიეს“ და „პრისოვდინენიეს“, საბოლოო ჯამში, განუყოფელი საბჭოთა კავშირის შექმნას!

არ დაიჯეროთ, რომ შამილი 25 წელი ებრძოდა საბჭოთა კავშირის შექმნის იდეას, ან სოლომონ მეფე და ალექსანდრე ბატონიშვილი! არ დაიჯეროთ, რომ მუჰაჯირები თავიანთი სამშობლოდან გადაიხვეწნენ, არც ის დაიჯეროთ, რომ მილიონობით რუსმა დატოვა რუსეთი, რომ ვინმე ებრძოდა ან გაექცა საბჭოთა კავშირს! არა, ამხანაგებო, ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა ქვეყნებში, რათა იქ შექმნან „რუსსკოიაზიჩნოე ნასელენიე“ და ის ქვეყნებიც შემოუერთონ საბჭოთა კავშირს!

ბედნიერი ცხოვრება ხომ ყველას უნდა! ბედნიერება კი წარმოუდგენელია, თუ ყველანი ერთად „განახლებულ“ საბჭოთა კავშირში არ ვიქნებით!

ასეა საქმე!
ასე იღვწოდა დავით აღმაშენებელი ჩვენი ათასწლიანი საბჭოთა სამშობლოს შესაქმნელად!



— ქალბატონო, ხმა თქვენს ტელევიზორს კი არა, ამას უნდა ჩაწვებითდა!..

საქართველოში

უცნობისადმი,
გაბრაზებულ გულზე,
სისხამზე რომ ხასიათი
ნამიხდინა

მხარნი — ჯანსუხტნი, არა —
კაცურნი,

მკლავნი — ჩხირები,
თითნი — მწკალები,
კანი — უსისხლო, მზისგან დაცული,
მკერდი — უსახო და უწვალები!..

გაბერილ ხალათს
გაბერილ შარვალს
ალარკი ძალუძთ გაბერვა შენი!..
უნდა გაჯობოს
უსულო მკვდარმა, —
ვაჟამ რომ უქო დედა გამჩენი!

მიხვალ
ქამარში გაჩრილ რვეულით,
მიიცოხნი და...
ვერ გიკლავს შიმშილს!..
და აღარ მინდა, რომ ორეული,
შენი,
სხვაც შემხვდეს ქართული ჯიშის!

გადაჯიშების წინამორბედო,
შენს ტონს და სიტყვას ახლავს
სიგრილე,

ჯანსაღი აზრი რომ შემოგბედონ,
ისევე...
საკუთარ დედას იგინებ!..

ქართული ენის სიწმინდის მტერო, —
პირში რომ გჩრია ტერმინთა
კოლტი, —

შენისთანები დღეს საქართველოს
ჯიშსა და ენას უყრიან ბორკილს!

ვინ გამოძვრავს?!
ვინ გზრდის?!
სად წაიკითხე?! —
ძმას და მეგობარს ეძახ
„შე ჩემა“-ს, —
ქართული სისხლის მკეცველო
სითხედ,

ვინ შეგასწავლა სიტყვის შერჩევა?!
არც სწავლა გინდა,
არათუ გარჯა,
ალარც დახვედრა ძალგის
მტერისა, —
მკერდს რომ გაადენს მახვილი
გლაჯანს
და მოსწვევს უამი ძვალთა
მტვრევისა!..

ვერც შენი ცოლი გააჩენს ბოკვერს,
სადარს ალგეთის მგელის ლეკვების!..
ნულარ ცოდვილობ,
გარდახედ,
მოკვედ,
სანამ მაგ ჯიშით წავილეკებით!

შენ მამულისთვის არ ხარ ნაშობი,
ალბათ შემთხვევის წყალობით
გაჩნდი,

გადაიკარგე,
წადი,
გაგვშორდი, —
შგავხარ სამართ ამოწვდილ
აჩრდილს!..

ან როგორ დავრჩით დაუმონები,
შენნაირებით გატენილ დროში?!
ვაგლახ, —
საფლავში იწვენენ ლომები,
შენ კი „შავლეგოს“ წკაოდე
დროში თ!

გიგლა ჰინჭარაული
(საგარეოს რაიონი, სოფ. ვერონა)

მოსე ქარჩავა

-75-



ქართული იუმორისტიკის სახელოვან მატთანეს სევდანარევი ღიმილად შემორჩენია ჩვენგან უღროოდ წასული კაცის ნამოღვაწარი!..

ყველა თაობის ნიანგელთა არცთუ რიცხვმრავალ კალმოსანთა გვარდიანში მოსე ქარჩავას გამოარჩევდა აზროვნების სტილი, სავანთა და მოვლენათა არსში წვდომის განსაკუთრებული უნარი.

იტყვიან ზოლმე, სასაცილო მუდამ ზედაპირზე დევსო! ეს ანბანურა კეშმარიტებაა, მაგრამ ის, რაც ზედაპირზე დევს, უკვე მოპოვებულია და საყოველთაო კუთვნილებადაა ქცეული, ახალი პლასტების ძიებას კი ჩაღრმავება სჭირდება — ორიგინალობა იქ დევს!

ასე ესმოდა იუმორისტი მწერლის დანიშნულება ნიჭიერ შემოქმედს, შესანიშნავ ნიანგელს. წლების მანძილზე ჩვენი ყურნალის პასუხისმგებელ მდივანს მოსე ქარჩავას, ვისა, როგორც ყურნალისტი, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნა „ნიანგეში“ მოღვაწეობის წლებს დაემთხვა.

რიცხვობრივად მცირე ერის შვილს მუდამ ახსოვდა თავისი ხალხის ღუბკირი ბედი და ნიადაგ გულით დაატარებდა სამშობლოს ტკივილიან სიყ-

ვარულს. ამიტომ გამანადგურებელი სატირისათვის არასოდეს მიუშრთავს! როცა თანამემამულეთა მანკიერებებს დასცინოდა, მის დაცინვაში თანაგრძნობის ღიმილი უფრო მეტი იყო, ვიდრე მჭირდავი ქირჩილი!..

ბატონი მოსე „ქარაშოტის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა ჩვენს ყურნალში და ამ ფსევდონიმშიც ნათლად ჩანს მისი დიდი ადამიანობა და გულის სიკეთე, რაც იუმორის ზომიერებაში გამოიხატა: არა დამანგრეველი ქარიშხალი, არა ყოვლის დამქცევი გრიგალი, არამედ ქარაშოტი, რასაც მსუბუქად ამაწრიალებელს ელფერი დაჰკრავს.

ლაკონური სტილი, საოცრად ტევადი სიტყვა, რითაც ხასიათდებოდა მისი სატირულ-იუმორისტული მონასმები, საშუალებას აძლევდა მწერალს მცირე ფორმის ნაწარმოებებში ჩაეტია სათქმელი.

სათქმელი კი ბევრზე ბევრი ჰქონდა ომგამოვლილ, სამხედრო ტყვეობიდან სიკვდილის რისკით გამოქცეულ და კვლავ მეზრძოლთა რიგებში ჩამდგარ კაცს, ვინაც ჯოჯოხეთური ტანჯვის წლებში გამოატარა სულის სიმხნევე და ომის დამთავრების შემდეგ განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სწავლის დასრულების შემდეგ კი აქვე დარჩა სამუშაოდ ინგლისური ენის კათედრაზე.

მოსე ქარჩავა იყო ერთდირებული შემოქმედი. ბრწყინვალე მექართულე და ამასთან ზედმიწევნით ფლობდა ინგლისურ ენას. ამან საშუალება მისცა ნაყოფიერად ემუშავა, როგორც მთარგმნელს. მან მაღალმხატვრულ დონეზე გადმოაქართულა ჯ. სვიფტის „გულიფერის მოგზაურობა“, უ. შექსპირის „ტიმონ ათენელი“, ჯ. ბაირონის „სარდანაპალი“, ბ. შოუს „პიგმალიონი“, თ. დრაიზერის „ფინანსისტი“, ჯ. ლონდონის მოთხრობები და სხვ.

ბატონი მოსე ერთხანს საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების რედაქტორადაც მუშაობდა და მოკლე ხანში საქმეში ღრმად ჩახედული ნიჭიერი შემოქმედის სახელი დაიმკვიდრა.

1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ყურნალ „ნიანგის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი და კოლეგიის წევრი იყო და მოსე ბევრს აკეთებდა მისი პოპულარიზაციისათვის.

ულმობელმა სიკვდილმა უღროოდ შეწყვიტა მისი მჩქეფარე სიცოცხლე, განუხორციელებელი დარჩა ბევრი ოცნება და გაბედული ჩანაფიქრი!..


არადა, სულ ადვილად შეიძლება, რომ იგი დღესაც ჩვენს გვერდით ყოფილიყო — 75 წელი ჩვენს დროში ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიბერეს!

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა: მოსე ქარჩავა აღარ არის ჩვენს შორის, თუმცა ქართული პერიოდიკის ფურცლებზე შემორჩენილი და წიგნებად გამოცემული მისი ორიგინალური ნაწარმოებები თუ მხატვრული თარგმანები კვლავაც განაგრძობენ სიცოცხლეს და შემდგომშიც არაერთხელ დაგვაფიქრებენ მათი ავტორის ტრაგიკულ ბედზე, გაგვახსენებენ და მენხიერებაში გაგვიცოცხლებენ ადრე წასულ ნიჭიერ მწერალსა და დიდებულ მამულიშვილს!

ნიანგელვაი



ანონიმისტის აღსარება



სამი ადამიანი მიყვარდა ცხოვრებაში გამორჩევით, სამივესთან ახლო ურთიერთობა მაღირსა ღმერთმა, სამივემ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში და საოცრად გამოიკეთილშობილა ბიოგრაფია:

ნოდარ დუმბაძე,
ეროსი მანჯგალაძე,
მოსე ქარჩავა.

ნოდარ დუმბაძემ მისცა პირველად ვიზა დასაბეჭდად ჩემს ნაწერებს, ეროსი მანჯგალაძე უმაღლესი ოსტატობით კითხულობდა სატელევიზიო ჟურნალ „ოქროპირის“ ტექსტებს და, ბუნებრივია, რომ ჩემთან, როგორც იმ დროს ამ ჟურნალის რედაქტორთან, ხშირი კონტაქტი ჰქონდა, მოხე ქარჩავა წლების მანძილზე „ნიანგის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო, მე კი — ამ ჟურნალის ერთ-ერთი ავტორი.

სამივემ დიდი ამაგი დამლო იმ დროს ახალგაზრდა შემოქმედს, სამივე გულითადი ადამიანი იყო და სამივემ გულმა უმტყუნა!.. სამივე გაანათლოს იმ ქვეყნად ღმერთმა!

რა თქმა უნდა, ნოდარისა და ეროსის რანგის შემოქმედი არ იყო მოსე და არც არანოდეს ჰქონია ამის პრეტენზია. სწორედ ამ უპრეტენზიულობით შემყავარა თავი. ახლაც, ოცდახუთი წლის შემდეგ, მიღგას თვალწინ დიდი, ნათელი შუბლით, ეშმაკურად მოციმ-

ციმე თვალებით და გულისხმიერი ღიმილით!.. ზოგი მხოლოდ პირით გიღიმის!..

მოხეს ბევრი ხუმრობა და მოსწრებული თქმებია გაბნეული ხალხში, მაგრამ მე მინდა გავიხსენო მისი ერთი „შეყი“, რომელიც პირადად მე „გამიკეთა“.

... 1964 წლის შემოდგომა. ნიკიტა ხრუშჩოვი გადაადგეს და იმის შიშმა, რომ ქვეყნის სათავეში „ახალი სტალინი“ არ დაეყენებინათ და რეპრესიები არ დაწყებულიყო, ამაფორიაქა. ვინ-ვის და, პირველ რიგში „ნიანგის“ ავტორები გავდიოდით ბეწვის ხილზე!.. ვის-ვის და, პირველად ჩვენ გვწამებდნენ აწვისაბჭოურობას! ამ მხრივ ორჯერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშიც მოვხედი ჩემი ფელეტონების გამო, „ნიანგის“ იმდროინდელ რედაქტორთან, ბატონ ელგუჯა შალვაძესთან ერთად. — შენი „ჯოჯოხეთის“ გულისთვის (ჩემს ფელეტონს ერქვა ასე) კინაღამ ჯოჯოხეთში გვიკრეს თავიო! — მითხრა ბატონმა ელგუჯამ, ვინ მოთვლის, ცენზორმა რამდენჯერ დაჩეხა უკვე გასაყრცელებლად გაზაბდებული ჟურნალი „ნიანგი“, ვინ იცის, რამდენი მასალა ამოავდო და მოისროლა!..

აფორიაქებული მივედი „ნიანგის“ რედაქციაში და მოსეს ვეუბნებდი:

— რა გვეშველება?
მოსე ხედება ჩემი შეწუხების მიზეზს, თვითონაც შეფიქრებულა, მაგრამ მოუ-

ლოდნელოდ მზერა გადააქვს მაგიდაზე დედებულ ჰადრაკის დაფაზე და შეუბნება:

— მოდი, ვითამაშოთ!

მიხვდით, ჩემს გასართობად და გულისგამადასაყლებლად მოიფიქრა ეს. ჰადრაკის კარგი მოთამაშე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მომენტებში „გამონათებები“ მაქვს ხოლმე და ორი ხელი მოვუგე უდიზედ. ამა-სობაში სხვებიც შემოვიდნენ „ნიანგის“ რედაქციის იმ დროს ცნობილ დიდ ოთახში. გაჩაღდა თამაში, ვინც წააგებდა, უნდა ამდგარიყო. მოსეს გარდა, სხვებსაც რომ მოვუგე, იგი უცებ გაქრა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი შემოვიდა სხვა, ჩემთვის უცნობ მამაკაცთან ერთად, — ამ კაცსაც თუ მოუგებ, ვალიარებ, რომ ყველაზე ძლიერი ხარ და თითს მოვკაყვავებო!

იმ მამაკაცმა პირველი ხელი მცირე უპირატესობით მომიგო, მეორე — აშკარა უპირატესობით, მესამეში კი პირდაპირ გამანადგურა!..

— ა, ძმაო, მოთამაშე! — ვთქვი და წამოვდექი, — აქ ვინც ხარო, ყველას გჯობიათ ეს კაცი ჰადრაკში!

ატყდა ხარხარი, უცებ დავიბენი, ვერ მივხვდი, რა ახარხარებდა ამ ხალხს. ოთახი მოსეს წყალობით უკვე საცხე იყო სეირის მაყურებლებით.

— მართლა კარგად თამაშობს, თუ უბრალოდ გაუმართლო? — მკითხა მოსემ მოგონილი სერიოზულობით.

— არა, ნაღდად კარგად თამაშობს! — ავტორიტეტულად ვთქვი და ხელი მაგრად ჩამოვკართვი მოწინააღმდეგეს.

ისევ ატყდა ხარხარი.

— რა გაცინებთ, მე სიმართლე ვთქვი!

— აი, იმიტომ გაფასებ, სიმართლე რომ გიყვარს! — გადამოცნა მოსემ და ჩამჩურჩულა: — იცი, ვინ არის? საქართველოს ჩემპიონია ჰადრაკში, ბუსლაევი!

მოულოდნელობისაგან გაფშრი, მერე ბუსლაევს შევხედე, რომელიც დამანაშვესავით მიყურებდა, — ჩემი ბრალი არ არის, მოსე ისე შემჩინდა, უარი ვეღარ ვკადრეო! ბუსლაევი იმ დროს გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციის სპორტულ განყოფილებაში მუშაობდა. ამ გაზეთისა და „ნიანგის“ რედაქციები ერთმანეთის პირდაპირ მდებარეობდა, „ზარია ვოსტოკას“ შენობის მეხუთე სართულზე. ასე რომ, მოსეს შორს წასვლა არ დასჭირვებია საქართველოს ჩემპიონის მოსაძებნად, გავიდა და შემოიყვანა.

ოო, რა გაიხარა მოსემ, ბოლოს, „შური“ რომ იძია ჩემზე!

— ახლა მალარიჩი შენზეა, საქართველოს ჩემპიონს შეგახვედრე!

ოთხნი გავედით ქაბაბზე, ხინკალსა და ლულზე — მოსე ქარჩავა, ბუსლაევი, მიშა კუხალაშვილი და მე. მოსემ არაფრით არ ქნა და მთელი დანახარჯი თვითონ გადაიხადა, — შენ მაშინ გადაგახდევინებ, მსოფლიო ჩემპიონს რომ შეგახვედრებო!

ბედნიერი ვიყავი! ვილას ახსოვდა ნიკიტა ხრუშჩოვი და ვილას ჰქონდა მოსალოდნელი რეპრესიების შიში!

პ ა რ ო დ ი ა

რა ქვეშევსეა, რა ჩუმჩუმა,
რა მყრალი ვარ, — იცი, განა?
რა შურიტ ვარ ავსებულთი,
რა მწყრალი ვარ, — იცი განა?
ანონიმურ წერილების
მწერალი ვარ, — იცი, განა?
მთავრობასაც შეუტყვია,
რავარი ვარ, — იცი, განა?
შენ არ შეგიტყვია, განა?
მას, არ შეგიტყვია, განა?
ახლა მოდი, მოგახსენო,
რად მოგვიდეს ხელი წერასი —
არ გეგონოს, უსაქმობით
ატანილი ვყავდე წერასი —
გულში მიზის წერის მწერი, —
მწყერი ვნახო, აღვწერ ძერასი
რას ვაშავებ?! — თეთრს ვაშავებ! —
თუ არ შავად, ვიტყვი ვერასი!
რასაც ვნატრობ, მას ვწერ მარტო! —
მართალი ვარ, — იცი, განა?
რასაც ვწერ, ჩუმად ვწერ,
ღან-ღამე ვწერ და ვწერ მარტო! —
ყველას მოხსნას, ყველას ჩასმას,

ყველას გაფუჭებას ვნატრობ!..
მადლიერი თუ არვინ მყავს,
ასპარეზი ხომ მაქვს ფართო?!
სხვას რა ართობს, სხვამ იკითხოს! —
მე კი ჩემი ღვაწლი მართობს!
უმწიკვლო და უანგარო
მოდვაწი ვარ, — იცი, განა?
ჩემთვის ყველა საკბილოა, —
გიგლაა თუ ბორისია!..
ერთს დავწერ და ჩამოჰყვება
კომისიას კომისია!..
და წრიალებს ჩემი გმირი:
„ეს პირი ვინ მომისია?!“
ვინც არ მიცნობს, ისიც კი გრძნობს,
რა კაციც ვარ, — იცი, განა?
ზოგჯერ მაინც ამას ვჩივი,
სამალი ვერ მიპოვია!..
მინდა, გული ზედ ავაგო,
კალამი ვერ მიშოვია!..
თავი მტკივა! გული მტკივა! —
წამალი ვერ მიშოვია!..
კუშიანს რომ თვით სამარეც
ვერ ასწორებს, — ვიცი, განა?!

მოსე ქარჩავა
1963 წ.

პიკა მასვილიაძე (მარტიანუვილი)

საერთოდ საქართველოს ისტორია საოცრად ტრაგიკულია და ეს ტრაგიკულობა იმაშიც გამოიხატება, რომ ქართული ტომებით დასახლებული ანტიკური პერიოდის არეალი თითქმის ჩრჭერ მეტი იყო, ვიდრე ის ტერიტორია, რასაც დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკა მოიცავს. თუმცა რაღა შორს მივდივართ, რას ვეპოტენებთ ანტიკურ პერიოდს, როცა რომანოვების რუსეთის იმპერიაში შემავალი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები და კიდევ სხვა ქართული ოლქები ბევრად უფრო მეტს მოიცავდნენ, ვიდრე დღევანდელი საქართველოა. ამასთან ერთად, ამ ბოლო ორ წელიწადში საქართველოში თუ რაიმე აგრესიულ გამომდომას ჰქონდა ადგილი, ყველა ისინი მხოლოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული (სამაჩაბლო, ქვემო ქართლი, აფხაზეთი). ასე რომ, თუ დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში შეიძლება ლაპარაკი იმპერიის ცნებაზე, უნდა თქმულიყო სიტყვა ანტი-იმპერია (ოღონდ არა ლოზუნგური, არამედ სუფთა მეცნიერული გაგებით: მაგალითად, თუ არსებობს ცნება სამყარო, უნდა არსებობდეს ანტისამყაროს ცნებაც).

როგორც ბევრი ჩვენთაგანი, მეც ვფიქრობდი, რომ ისტორიის ფაქტობრივობები, რომელთაც განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი საბჭოთა წყობილების დროს ნახეს და რომლებიც შეუთანხმებლად და ცალ-ცალკე მუშაობდნენ, ისე გაერთნენ, რომ ქართველებს არ დაგვიტოვეს ადგილი კაცობრიობის არც ისტორიაში, არც გეოგრაფიაში. ამიტომ იმედი გვქონდა, მოვიდოდა დრო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა და ქართველებსაც დაგვიბრუნდებოდა ჩვენი ადგილი კაცობრიობის როგორც ისტორიაში, ისე გეოგრაფიაში! მაგრამ, როგორც ირკვევა, საქმე არც ისე იოლად უოფიდა. თავად განსაჯეთ, ისეთმა დიდმა ჰუმანისტმა, სიმართლის მაძიებელმა, როგორც არის აკადემიკოსი ა. სახაროვი, საქართველოს მცირე იმპერია უწოდა. თანაც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ბატონი ა. სახაროვი ისეთი უზუსტი მეცნიერების წარმომადგენელია, როგორც ფიზიკა გახლავთ. ამიტომ აუცილებლად უნდა გავიგოთ, თუ ისეთი რა იცის ბატონმა სახაროვმა, რაც ჩვენ, ქართველებმა არ ვიცით და, რაც ყველაზე მთავარია, რატომ არ ვიცით ეს რაღაც?

ამიტომ, თუ ყველა ამ კითხვაზე არ იქნება გაცემული ამომწურავი პასუხი, მეც მონანიე ქართველის პოზიციაზე უნდა დავდგე — უნდა გადავსახლდეთ ქართველებში!

თუმცა პირადად მე ერთი მცირე, მაგრამ არც მთლად უპერსპექტივო იმედის ნაპერწკალი ჩამესახა გულში: როგორც გვიგე, ცხინვალელ მეცნიერებს შეუხწავლიათ და დაუმტკიცებიათ ბევრი ქართული გვარის ოსური წარმომავლობა. ამ გვარებში არის ერთი გურული წარმომომის გვარიც — თაყაიშვილი. ჰოდა, მეც ხომ გურული ვარ, იქნებ მოიღონ მოწყალება ამ მეცნიერებმა და შეიხწავლონ ჩემი გვარის წარმომომის ამბავი. თუ დადასტურდება ჩემი გვარის ოსური წარმომავლობა, ხომ გადავრჩი, აღარ მიმიწევს გადასახლება!

არადა, მთელი ჩემი ცხოვრება შეეწირა კოშკრატული ბინისა და მსუბუქი მანქანის შეხადენი ფულის შეგროვებას. ბოლოს და ბოლოს, ახრულდა ჩემი წადილი, ბინაც შევიძინე და მანქანაც. როგორღა დავთმო ეს ყველაფერი?! იქნებ მიშველონ ოსმა სწავლულებმა?!

პატივისცემით — ცოტნე ჩხიკვიშვილი.

P. S. „მონანიე ქართველის წერილი“ რუსულად იყო დაწერძლი. იგი წლინაბერის წინ ვიპოვე. ჩემი კომენტარიც რუსულად ვაახლე და, ვიფიქრე რა, რომ დრო დადგა ქართველებმა ვიწრუნოთ ცოდვების მონანიებაზე, გადავწყვიტე, წერილიც და კომენტარიც რუსულად გამოემქვეყნებინა, რათა ქვეყანას გაეგო ჩვენი ამბავი — შუბი ხალთაში როდემდე უნდა გვემალა?! მაგრამ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქციამ მაინც სხვანაირი საბრძნით განსაჯა: ამ საოცრად არეულ დროში ალბათ ჭერ ადრეა ქვეყანამ რომ გაიგოს ქართველთა „ცოდვინა“ სიმართლე. წერილიცა და მისი კომენტარიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა! რაც გამახსენდა, იმისდა მიხედვით ავდადგანე წერილიც და კომენტარიც. ქართველებმა ჩვენთვის მაინც (ოღონდ, არცინ გავიგოს!) განვსაქოთ ჩვენი წარსული და ახალი ცოდვები. ოღონდ ნურვინ იტყვის, რომ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქციაში პატრიოტები არ არიან!

ისევ ც. ჩ.



დოლარი, მარკა, სტერლინგი, ფრანკი... მანეთის გულისხმვის გავტეხო ბანკი?!



— რამ გადარია ეს კაცი?!
— ხომ იცი, ძველი ინტრიგანია და ახლა მრგვალ მაგიდასაც ველარ იტანს!..

მოდარება

არ ცხვენია..

... დრონი შეფობენო..
 დრო ძალთა მტვირთველია,
 დრო-ჟამმა გულის ჭავრი ამოგვყარა —
 გაშიშვლდა, გაშიშვლდა იმპერია
 ურცხვად ყველაფერი გადმოყარა..
 ტფუბ, რას ჰგავს, რა ყოფილა ეს ოხერი,
 არაფერი თავის ადგილზე არ ჰქონია
 ვუშერ და შავი ხედილი ვიკოხები,
 სიმანინჯე იმთავითვე დაჰყოლია!
 წლები გაატარა უმადურად,
 მისგან ბევრი ხალხი ნაცრემლია..
 გაშიშვლდა, გაშიშვლდა უბედური,
 სიშიშვლეც შეიფერა,
 არ ცხვენია..

ბერილობა გაგვეხსნა ხელახლა..

ბ რ უ ბ ი ნ, პ რ ო კ უ რ ო რ ო
 ხ ა ბ ჯ ო ე თ ი ს,
 გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ო, უ მ ა ლ ლ ე ს ო,
 ი მ ი ტ ო მ წ ა მ ო ს კ უ ბ ი დ ი მ ა გ ა დ გ ი ლ შ ე,
 ს ი ც რ უ ე დ ა ს ი ყ ა ლ ბ ე უ ნ დ ა თ ე ს ო ? !
 ბ რ უ ბ ი ნ, პ რ ო კ უ რ ო რ ო
 ხ ა ბ ჯ ო ე თ ი ს,
 შე უ ხ ა მ ა რ თ ლ ო ბ ა თ ა თ ე მ ი დ ა ვ,
 შე ნ გ ი ნ დ ა, ს ი ბ ნ ე ლ ე ს ი ნ ა თ ლ ე დ ა ჩ ე ვ ე ნ ო,
 შ ა ვ ი თ ე თ რ ა დ გ ა ა ხ ა ლ ო, შე ნ გ ი ნ დ ა ? !
 რ ო, ც ხ რ ა ა პ რ ი ლ ს ც ხ რ ა მ ე ტ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე
 თ ბ ი ლ ს შ ი შე მ თ ვ ე ვ ი თ მ ო ი ს რ ა ? !
 ა ი, შე ც რ უ მ ე ს ი ტ ვ ე ვ ა, ც რ უ პ ე ნ ტ ე ლ ა ვ,
 მ ე დ რ ო ვ ე ვ ე ი მ პ ე რ ი უ ლ დ რ ო ს ა
 ა რ ც მ ო მ წ ა მ ე ლ ე დ ი გ ა ზ ბ ი უ ლ ო
 დ ა ა რ ც ა ლ ე ს ი ლ ი ხ ე ლ ბ ა რ ე ბ ი ? !
 შე ნ კ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს კ უ რ უ მ ი უ ნ დ ა ი უ ო
 დ ა კ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს ე მ ა ლ ბ ი ? !
 კ უ რ ი ლ ო ბ ა ხ ე ლ ა ხ ლ ა გ ა გ ვ ი ს ხ ე ნ ი,
 მ ა რ ი ლ ი მ ო ა ყ ა რ ე ჩ ე ვ ე ნ გ უ ლ თ ა ი ა რ ე ბ ს ..
 რ ო გ ო რ ი ს ი მ ა რ თ ლ ე ც დ ა ა დ გ ი ნ ე,
 ი ს ე თ ი მ ა რ თ ა ლ ი გ ზ ი თ ი ა რ ე ? !

ჩვენს უბანში

რომ დადგება გაწაფული
 და ცაში მზის ბრიალია,
 შეიქმნება ფაციფუსი,
 ფუსფუსი და რია-რია:
 „გავამწვანოთ, გავამწვანოთ
 დასახლება თემის, გლდანის..
 ნარგავებით ავაუვაოთ
 ყველა ქუჩა, მოედანი!“ —
 გაიძახის დიდ-პატარა,
 მონდომება ყველას შვენის,
 ზოგი ბარით მუშაობს და
 ზოგი — ნიჩბით, ზოგი — ენით..
 და ითხრება ორმოები —
 მცენარისთვის მიწა შემრგვი!
 ზოგი ორმო უქმად რჩება

და ზოგ-ზოგში რგავენ ნერგებს!
 რასაც რგავენ, ისიც მალე
 სიწმირით ავიწყდებოთ,
 ივლისსა და აგვისტოში,
 როცა ნერგის ბედი წყდება,
 კაციშვილი აღარა ჩანს,
 მიახხუროს ნერგებს წყალი,
 გაახაროს გვალვისაგან
 გამტკნარი და განამწარი..
 კვლავ რომ დგება გაწაფული
 და ცაში მზის ბრიალია,
 ისევ არის ფაციფუსი,
 ფუსფუსი და რია-რია..
 ორმოებზე განათხარი
 გაითხრება მიწა მუხისვე,
 წაფხულში კი ხაწყალ ნერგებს
 კვლავ დატკნობა ელით ისევე..
 სადღა არის გამწვანება,
 არაფერი გვრჩება ხელთა!
 ჩვენს უბანში ასე არის,
 როგორ არის საქმე თქვენთან?

თაფლობის თვე

თაფლობის თვე აქვს ავთანდილს,
 ხალისის ფრთები შეისხა,
 ხულ თაფლს ნატრობდა აქამდის
 და, როგორც იქნა, ეღირსა!
 საფუტკრის გამგედ დანიშნეს,
 თაფლით პირსავსე სკები აქვს,
 კაშხ და გაძლომას არ იმჩნევს,
 ცხოვრება გატკბილებია!

იქნებ..!

ზოგიერთ ინსტიტუტში, —
 რომ ჰქვია კვლევითი, —
 ამბავი ხდება ხაოცარი:
 ფრინავენ ამურები
 მოღერილ ყელითა და
 ტრფობის, სიუვარულის ალოც არი!
 მაგრამ მხოლოდინში ხუნდებიან,
 რჩებიან ბერბიჭებად,
 შ ი ნ ა ბ რ ე ბ ა დ ..
 ვ ა ი, ი შ ვ ი თ ა დ უ ლ ლ დ ე ბ ი ა ნ,
 ყ ა ნ ი ს ხ ე ნ ა დ ა თ ე ზ ე გ ვ ი ა ნ დ ე ბ ა !
 ი ქ ნ ე ბ მ ა რ ტ ო მ ა უ რ მ ო ბ ა შ ი ა ი ც რ ე ს ? !
 მ ა თ ლ ტ ო ლ ვ ა ს, თ ი თ ო ს დ ა,
 მ ტ ვ რ ი ს ფ ე ნ ა დ ა ხ დ ე ბ ი ა !
 რ ა ხ წ ი რ ე ნ,
 რ ა ხ ი კ ვ ლ ე ვ ე ბ, რ ა ვ ი ც ი,
 გ ა მ ო ს ა კ ვ ლ ე ვ ე ბ ი თ ვ ი თ ო რ უ
 ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი ა ე !

ამას ვფიქრობ

როს ქართული გოგონები
 კიდაობენ ძიულს, —
 ვდგავარ, ვუშერ წარბეკრული,
 ამას ვფიქრობ შე იმ დროს:

ვაი, ამდენ სისულელეს
 ლმერთი აღარ შეგვინდობს
 და ხელიდან გამოგვაცდის
 ჩვენს შიას, ჩვენს ტყეს.
 ჩვენს მინდორს..
 თვრამეტი წლის უცხოთესლი
 უკვე დედობს, შეილოსნობს,
 ზრუნავს ერის მომავალზე;
 იხედება უფრო შორს!
 სიძნელენი არ აწინებს,
 შრომობს იბრძვის, ჭიუტობს!..
 ხოლო ჩვენი გოგონები
 კიდაობენ ძიულს!
 კიდაობის სერბს სწავლობენ,
 განა ბავშვთა გავრდის წესს!
 მათ ტატამზე რომ შევყურებ,
 ლამის დარღით დავიწყვი..

კერძო მკობა

ღობის იქით თაფლა მსხალი მწიფს,
 მე ვერ მოვკრეფ იმ მსხალს!
 აქეთ ვაზი შევნობს ქარვის ტვირთს,
 შენ ვერ მოწყვეტ კიშალს!
 მო გ ვ ო ს ხ ? —
 კერძო საკუთრება,
 ძმავ, ამას ნიშნავს!

მე ვი

დანაგრევს დანგრევა მოეღის,
 რაც უნდა დანგრეულიყო ადრე!
 ინგრევა, ინგრევა უოველი,
 დანგრევა უოუმანსაც ბადებს!
 უოუმანს ფუშედ ეგვი უღევს:
 ნანგრევზე არ დაქედს უორანა,
 ზედ არ გაიკეთოს ბუდე!..


მოგავალი განსხვავის მკაცრად!

გადავიღვეს ფეხი ფეხზე,
 გადავდიხს ნაირფერად,
 ღობტები გუავს შენი კჷუის,
 კჷვიანებს თკლი არიფებად!
 კონიავს სვამ, პაპიროსხ წევ,
 თ ვ ა ლ ე ბ ა მ ო ლ ა მ ე ბ ე უ ლ ი .
 რომ გაცოცხლდენ თამარ მეფე
 და ქუთევენ წამებული,
 გაოცებთ შეგებდავენ, —
 ვინაო, ვინი ჭიშის?
 მართლაც ვინ ხარ, ვინ გაგზარდა,
 ვინ დაგბადა ან სად იშვი?
 არც ვინ გიყვარს, არც რა გიყვარს,
 არც გაქვს ვინმეს რიდი, შიში,
 ცხოვრობ მხოლოდ დღეის დღითა,
 დროს ატარებ მაცდურ ღბინში!..
 მკაცრად განსხვავის მომავალი,
 მოგადგება ანგარიშით!



„არა!.. არა!..“

- კორინფარი თუ მიიღეთ?
- არა! — ვილაც პასუხს მახლის.
- კურანტილი?
- არ გვაქვს! ნახეთ, ხელისგულს ჰგავს ჩვენი დახლი!
- კორდაფენი?
- აღარ არის!
- სტრეპტოციდი?
- არა ვუიღით!
- აღელფანი?
- არც ეგ არის!
- ნიხტაინი?
- ვაი, ტვინი!.. აღარ არის, არა, არა!.. რას მალაყებთ წარამარა?!



და ეს „არა“, უნდა გითხრათ, ახლა ბადებს ათას კითხვას.

ჭერ ეს ერთი: თუ წაშალი აღარა გვაქვს აღარც ერთი, — ეს დახლები რალად გვინდა, ან ამდენი ფარმაცევტი?!

მეზადება ერთი კითხვაც, არცთუ ისე დასაძრახი: ნუთუ დიპლომა სკირდება დახლის უკან „არას“ ძახილს?!


ავთანდილ ციგაძე

მიხედავთ სიღაპს — ჩვენს მოკავშირეებს!

ჩვენს თვალნათელს და ყურადღებანო ძმანო ნიანგო! განა არ ვიცი, პატარა მდინარეები არ გიყვარს, მაგრამ ხანდახან ეს ჩვენი პატარა მდინარე ჩხერიმელა რომ ადიდდება ხოლმე, დიდ ხეებსაც გზად გამოიყოფა და სავალად!.. დიდი შესავალით რომ არ დაგვალაო, მინდა მოგიტხრო ხარაგაულის რაიონის სადგურ მოლითის გადასარბენზე, აქ დაახლოებით რამდენიმე წელია, რაც ძველი რკინიგზის ხიდი აიღეს და ახალი ამოქმედეს, ეს ძველი რკინის ხიდი კი დაჭრეს, იფიქრეს მდინარეზე ხის ხიდს ამით შეცვლიანო, მაგრამ შენს გახარებას, მასზე არავის ჭერაც არ უზრუნია! არადა, ამ მდინარეზე გადებული ეს ხის ხიდი რამოდენიმე სოფელს აკავშირებს რაიონული ცენტრის გზასთან. მოგეხსენებათ, გამბედაობა კარგია, ჰოდა, გაბედული მეურმეები და მძღოლები მდინარეს გატოპავენ ხოლმე, როცა წყალი ცოტაა, მაგრამ როცა ადიდდება, მაშინ დიდი სიფრთხილე და შიში აუტყდება ყველას, როცა ამ ხიდის გადალახვაზე მიღება საქმე.

იმედია, ვიდრე შენ გამოგიშვებენ აქეთ სანაოსნო მივლინებით, ეგებ მანამდე მაინც დაიწყონ ამ მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოები და როცა ჩამობრძანდები, ახალგაქეთებულ ხიდზე მოგიწიოს გადასვლა და შემდეგ მათი სადღეგრძელოს დალევა, ვინც ამ საქმეს კეთილად მოემსახურება!

ჩხერიმელაზე გამაძსვლელების სახელით — თანახმა თოგაძე



— თანახმა კი ვარ, ოღონდ არ შემაცდინოთ და სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე არ მომაწერინოთ ხელი!..

„დრო წავიდა ღაჭუტობის,
დასმენის და დაზინების..
შაში მოდგა ქაჭუტების
ანუ ჩოლოქაშვილების!
შაში მოდგა ვიკარების,
შაში მოდგა ზვიადების..
ცაო, ამოფარადები,
უფრო ამოფარადები..
შაში მოდგა სულთან სულის
უარყმისა და ზიარების
მიხარია, — ღმერთი, რჯული, —
ცოცხალი რომ ვიარავი!“

ელდარ აერაქვანი ეს ლექსი („შაში მოდგა..“) მრავალპარტიულ არჩევნებამდე — 1990 წლის მაისში დაბეჭდა ჩვენმა ჟურნალმა (№ 10).

„მიხარია, — ღმერთი, რჯული, — ცოცხალი რომ ვიარავი!“ ვაი, რომ აღარ დასცალდა დიდხანს ევლო თავისუფლების სიოთი შეძრულ ქართულ მიწაზე, კვლავაც ეცოცხლა მისთვის ჩვეული მშფოთვარე სიცოცხლით და მოსწრებოდა იმ ნათელ დღეს, რაზეც ოცნებობდა — საქართველოს სრულ გათავისუფლებას!

რადენ გულდასაწყვეტია ელდარის უდროო სიკვდილი, რადენ მტკივნეულია იმასთან შეგუება, რომ აღარ არის ჩვენს შორის გულანთებული, ამაღლებული

სულის კაცი. დიდებული ქარდველი პოეტი. სატირიკოსი და იუმორისტი. ვისი სიცოცხლაც ზემგრძობიარე ნერვით იყო შექსოვილი სამშობლოს ბედთან!

ელდარ აერაქვანი ჩვენს ჟურნალში დვიღვას ფსევდონიმიტაც ბეჭდავდა თავის საუკეთესო სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს!..

რედაქციას უკვე მომზადებული ჰქონდა დასაბეჭდად მისი ლექსების მორიგი ციკლი. ამბის გასაგებად, კორექტურის წასაკითხად შემოიარა. ამბავი დაგვიტოვა, ამ დღეებში კიდევ შემოვივლიო. სწორედ იმ დღეებში მამა გარდაეცვალა და... ველარ შემოიარა!..

უცაბედად შაში მოდგა მისი უდროო სიკვდილისაც!.. სარედაქციო პორტფელში დარჩა გამოსაცემად მომზადებული პოეტის სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებების კრებული და კიდევ ფიქრი ამქვეყნიდან უდროოდ წასულ მის ავტორზე!..

წავიდა გზამართალს. დაუსაბამოს. მოუსაველეთ. მზისა და შვილების ცქერას მონატრებული მეოჯახე მამა, მამულიშვილი და ამქვეყნად თავისი ხანმოკლე ყოფნის ნიშნად დაგვიტოვა ცინცხალ ლექსებში გაბნეული ფაქიზი და საოცრად მგრძობიარე სული, სული კეშმარტი პოეტისა. გულმხურვალე პატრიოტისა, რომელიც მარად ჩვენთან იქნება!



ელდარ აერაქვანი

სხვისი ლექმა
რომ გადაგდის ყიაში,
არც ის —
დიდი გული რომ გაქვს,
ტენი —
ჩიტუნისი!..
მაგრამ მალე დამთავრდება
ყაყანი და გნისი,
დრო მოვა და დრო წაგიყვანს
თავის მილიციაში,
უორდეროდ შეპარულო
ენციკლოპედიაში!
აწი გინდა ზუგდიდს წადი,
გინდა —
სამტრედიაში

და წიგნები კვლავ წყალწყალა
სტრიქონებით შეავსე,
შე იმფერო, შე ამფერო,
შე ისე და შე ასე!..

**ივანოს და
ივანოსნაირებს**

ღმერთს ხომ შეტანილი ჰყავდი
უნეკოთა სიაში
და, იმანო,
როგორ მოხვდი
ენციკლოპედიაში?!
არაფერი აღარ მიკვირს
ზოგიერთი ძიასი, —
იმანო, — ვინც შეგაპარა
ენციკლოპედიაში!
არც ის მიკვირს.

**როცა ერთმანეთს
დაარივნან!**

— ერთი ამითიც!
— ამათი კამათიც!
— წავიდეთ, თუ ძმა ხარ!



უნდოგლოგის დრუგალი

მთლად გაშავდა ღრუბელი
უნდობლობის სიახით,
ახლა ხშირად უბერავს
ატომური ნიავეი!..
დრომ დროს გადაამეტა,
ცაზე ეშმა პოინობს,
უმზერს მთელი პლანეტა
პრეზიდენტის ოინებს!..
რა გამოვა, არ ვიცი
ამდენ ვაი-ვუიდან!
მიწას ჩვენი ჩალიჩი
ყელში ამოუვიდა!..

**ხუმროსა
სარიოზული
საკითხის გავი**

ჩამომიზამთრა
დალაქმა სახე
თოვლივით თეთრი
ქაფქაფა ქაფით,
დაუსვა დანა,
ზამთარი გაქრა,
გამოჩნდა ჩემი
სამიწე სახე!..